სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/100

ქ. თბილისი 21 ივლისი 2026წ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების, ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების, ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმების და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 7 ივლისის №89/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი ფორმულირების ნაწილში დანართის სახით წარმოდგენილ მაგისტრატურის საგანამათლებლო პროგრამებში.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის 01-05-04/100
დადგენილების დანართი

ენერგეტიკის ფაკულტეტი

1. ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა (0413)
2. ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია (0713)

სამთო - გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი

1. გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტი (0413)
2. გამოყენებითი გეოლოგია (0532)
3. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (0724)
4. საინჟინრო გეოდეზია (0719)
5. პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (1022)
6. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (რუსულენოვანი) (0724)

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი

1. სამეწარმეო მენეჯმენტი (0413)
2. ლოგისტიკა (0719)
3. ტრანსპორტის ინჟინერია (0716)
4. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია (0719)
5. მეტალურგია (0715)
6. მასალათმცოდნეობა (0719)

ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1. ინფორმატიკა (0613)
2. მათემატიკა (0541)
3. ტელეკომუნიკაციის ინჟინერია (0714)
4. კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის (ინგლისურენოვანი) (0613)

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. ბიზნესის ადმინისტრირება (0413)
2. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) (0413)
3. საბანკო პროცესების მართვა (0413)
4. სასტუმრო მომსახურების მართვა (1015)
5. საჯარო მმართველობა (0413)
6. საჯარო მმართველობა (რუსულენოვანი) (0413)
7. საზოგადოებასთან ურთიერთობა (0414)

აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. აგრარული ტექნოლოგიები (0811)
2. მევენახეობა და მეღვინეობა (0888)
3. მეცხოველეობა (0811)
4. სასოფლო სამეურნეო ჰიდრომელიორაცია (0811)
5. სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება (0811)
6. სატყეო საქმე (0821)
7. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია (0711)
8. გარემოსდაცვითი ინჟინერია (0712)
9. ქიმიური პროცესების ტექნოლოგია (0531)